საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-13

06/01/2021

ქ. თბილისი

შპს „ქიმიური კომპანია გეოჯემის“ ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების საცავის ექსპლუატაციაზე (ქიმიური რეაქტივების ბაზა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 28 დეკემბერს სამინისტროს მომართა შპს „ქიმიური კომპანია გეოჯემის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „სავაჭრო კომპანია გეოჯემის“ ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების საცავის ექსპლუატაციაზე (ქიმიური რეაქტივების ბაზა) გაიცა №25 (23.06.2012) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2015 წელს, განხორციელდა შპს „ქიმმედის“ შერწყმა შპს „სავაჭრო კომპანია გეოჯემთან“, შედეგად, კომპანია ჩამოყალიბდა შპს „ქიმიური კომპანია გეოჯემის“ სახელით, რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2012 წლის №25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად, ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „სავაჭრო კომპანია გეოჯემი“-ს ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების (ქიმიური რეაქტივების ბაზა) საცავის ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2012 წლის 24 ივლისის №ი-198 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2012

წლის №25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ქიმიური კომპანია გეოჯემის“ ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების საცავის ექსპლუატაციაზე (ქიმიური რეაქტივების ბაზა) გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №25; 23.06.2012);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „სავაჭრო კომპანია გეოჯემი“-ს ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების (ქიმიური რეაქტივების ბაზა) საცავის ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს 2012 წლის 24 ივლისის №ი-198 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ქიმიური კომპანია გეოჯემს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ქიმიური კომპანია გეოჯემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი